ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის




წელიწადი მე-III. მარტი, 1907 წ.



ტფილისი
ელექტრონის-სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.
1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

I—ლიზიკო და ციცუნია.—(ლექსი) ა. ნ—ისა . . . . . 3
II—პატარა მედაირე.—(მოთხრობა), განდეგილისა . . . 5
III—დათვის ბელები.—(თარგმანი), ტასიასი . . . . 9
IV—ვისი ბრალია?—(იგავი), ი. მ—ანისა . . . . . 13
V—წითელი მარჯანი.—(ვაგნერიდგან). დ. ყიფიანისა . . 15
VI—ინდაური და მამლაყინწა.— ი. მჭედლიშვილისა. . . 17
VII—ერთი ძაღლის თავგადასავალი.—(თარგმანი), მ. დემურიასი . . . . . . . . . . . . . . 20
VIII—ნარევი.—ა) პრესპაპიე.—ი.—ასი.—ბ) შარადა.—გ) გონიერი მაიმუნი.—ეპიტაშვილისა.—დ) სახუმარო გამოცანა.—ნ. წ—შვილისა.—ე) რებუსები. . . . 22



## ლიზიკო და ციცუნია

იზამ უთხრა ციცუნიას:
„ციცავ, მოდი ჩემთანაო,
პურს მოგართმევ, ჩიჩიასა,
სულ ვიქნები შენთანაო.

გიალერსებ, მიგიხუტებ,
ნიავს არ მოგაკარებო,
შენს შვილებსაც მე მოვუვლი,
გავართობ, გავახარებო".

ციცუნიამ უპასუხა:
„გმადლობ, ჩემო ლიზიკოო,
ხელს ნუ მახლებ, ამასა გთხოვ,
თავისუფლად მამყოფოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ... თბილისი

ჩემს შვილებს მეც კარგად ვუვლი,
ვანადირებ თაგვებზეო,
შენ-კი შენს წიგნს მოუარე,
თვლაც ისწავლე თითებზეო.

ა. ნ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა მედაირე

მოთხრობა

ჯერ ისევ თოვლით დაფარული იყო არე-მარე, მაგრამ ქვეყნის მანათობელმა მზემ ისეთი სი-უხვით მოჰფინა დედა-მიწას თავისი მოწყალე სხივები, რომ საქართველოს დედა-ქალაქზე გუმბათად მდგარს მთაწმიდას თეთრი სამოსლის კალთები ჩამოეხსა და შავი კანი გამოუჩნდა. სახლის სახურავის ღარებიდან ღელესავით მოჩანჩქარებდა თოვლის წყალი და მთელი ეზო მოტბორილი იყო.

სერგო და მიშა ჩვეულებრივი მოუსვენრობით დარბოდნენ ბაღჩაში და გამლხვალ თოვლის გუნდებს ზედიზედ ესროდნენ ერთმანეთს. სერგო უფროსი იყო, რვა წლისა იქნებოდა, მიშა-კი იმის მომდევნო იყო, მაგრამ თოვლაობაში ორივე მარდები იყვნენ. გაკვეთილს მორჩებოდა თუ არა სერგო, გააქანებდა მიშას ბაღჩისაკენ და დაღამებამდე ერთი უშველებელი კიჟინი გაჰქონდათ. ზოგჯერ სადილსაც არა სჭამდნენ გულიანად. ხან-და-ხან მეზობლის პატარა ბიჭიც ჩაერევოდა და გაჰქონდა თოვლის გუნდებს ტყაპა-ტყუპი ხან ერთისა და ხან მეორის ზურგზე.

კვირა დღე იყო. თოვლი აქა-იქ-ღა მოჩანდა ბაღჩის კუნჭულებში, მაგრამ ბავშვები მაინც თავისას არ იშლიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილობამ მოატანა, აივნიდან რამდენჯერმე გადმოსძახეს ბაღჩაში უდარდელად მოკუნტრუშე ბავშვებს. აგერ სამზარეულოდან სხვა-და-სხვა საჭმელების გამოტანაც დაიწყეს სასადილო ოთახისაკენ, სადაც სერგოსა და მისას დედ-მამა სადილის მირთმევას შეუდგნენ, მაგრამ ბავშვები მაინც ისევ თამაშობით იყვნენ გართულნი და ყოველ დაძახილზე—„ეხლავ, ეხლავაო“—ამოსძახებდნენ ხოლმე მოსამსახურე გოგოს.

უცბად აივანთან გაჩერდა ერთი, ასე შვიდის წლის, ბიჭი. ძონძებად ქცეულ მოკლე და განიერ ახალუხის ქვემოდან უბრალო ტყავ გადაკრული დაირა გამოიღო, სიცივისაგან გათოშილი პაწაწა თითები საცოდავად შეახო და თან სიმღერა დაიწყო. საცოდავი რამ სანახავი იყო ეს ბიჭი: ფეხშიშველა, უქუდო, მოკლე დაძონძილ ახალუხის ამარა. ძონძადვე ქცეული შარვალი ისე მოკლე ჰქონდა, რომ ტალახით მოსვრილი



წვივები ნახევრად შიშველი უჩანდა. გამხდარი და ჭუჭყიანი კული გადაჭკლელოდა და წაწვრილებულ კისერზე ისე დაჭიმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჰქონდა მარღვები, რომ გულქვასაც-კი სიბრალულს მოჰგვრიდა იმისი სიმღერა. მღეროდა ტანჯვის შვილი, მღეროდა და ამ სიმღერის დროს ხან ბაღში მოთამაშე ბავშვებს გაჰხედავდა, ხან თვალს გააყოლებდა სამზარეულოსაკენ მიმავალ მოსამსახურეს, რომელსაც ბატონთა ნარჩენი საჭმელები მიჰქონდა. დიდხანს იმღერა, დიდხანს უკრა თავისი დაირა, მაგრამ ყური არავინ ათხოვა, მხოლოდ ორიოდე თოვლის გუნდა უთავაზეს ბავშვებმა შრომის მძიმე უღლისათვის განმზადებულ კისერში. პატარა მედაირემ ნაღვლიანად გაიხედა ბაღრისაკენ და კვლავ განაგრძო სიმღერა. მერე უცბად, თითქო მოაგონდა რამეო, დაირა ახალუხ ქვეშ ამოიდო, უსიცოცხლოდ მიმქრალ თვალებიდან სეტყვასავით გადმოჰყარა ცრემლები და ისე ხმამაღლა დაიწყო გულამომჯდარი ტირილი, რომ გეგონებოდათ მღერისო, თანაც სპარსულად რაღაცას ამბობდა.

შიოდა პატარა მედაირეს, სცივოდა და საცოდავად აკანკალებული მაინც მღეროდა,—იქნება ერთი გროში ვინმემ მიწყალობოსო; ამის ნაცვლად-კი თოვლით აუვსეს უბე. არავინ არ შეიბრალა, არავინ არ გამოესარჩლა... ობოლი იყო, დედმამა ღუმელის სუნმა დაუხრჩო, თავშესაფარი აღარსად ჰქონდა და კარ-და-კარ დადიოდა უპატრონოდ...

შვილებზე გაჯავრებულმა ვაჭაბატონმა მრისხანედ დაუტატანა პატარა უმწეოს. მხიარულებასა და განცხრომას ჩვეულს იმის ყურთა სმენას ვერაფრად ესიამოვნა ტანჯულის გულის ამონაკვნესი.

— რას დამდგომია ამ კვირა დღეს და შემომტირის! გიჟია, ოხერი! წარბშეერით შეჰყვირა მადიანად ნასადილევმა, ლოყებ წამოწითლებულმა ბატონმა და ფეხები დაუბრახუნა საცოდავ ბიჭს. სახლისაკენ მიმავალმა ბავშვებმა კიდევ დაასორსოლეს თოვლის გუნდები და სიცილ-ხარხარით გამოუ-

დგნენ ჭისკარისაკენ მიმავალ ოვალცრემლიან ობოლს. ჭისკართან მოთავსებულ პაწაწა ოთახიდან კვნესით გამოვიდა მეეზოვის მოხუცი დედა და ხელის კანკალით გაუწოდა პატარა ბიჭს თავისი უკანასკნელი ფული—ორ კაპეიკიანი. ის იყო უნდა გამოერთმია, ამ დროს ბავშვები მისცვივდნენ, ხელზე ხელი დაჰკრეს და ფული გააგდებინეს. გაბრაზებულმა მოხუცმა ჯოხი მოუქნია ბავშვებს და დაემუქრა, პატარა მედაირემ საჩქაროდ აიღო ტალახში გასვრილი ფული, უმადურად შეჰხედა კუნტრუშით გაქანებულ ბავშვებს და უცბად განშორდა იქაურობას.

**განდეგილი.**





# დათვის ბელები

(თარგმანი)

სოროში ოთხი პატარა დათვის ბელი იჯდა. ორი კვირისა კიდეც შესრულდნენ, მაგრამ ჯერ ისევ ბრმები იყვნენ. არც არა ესმოდათ-რა ქვეყნიერებისა იმის გარდა, რომ დედის რძე ძალიან გემრიელი იყო და მასთან ჩახუტება ძალიან ათბუნებდათ. მამა აღარა ჰყავდათ: დიდი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც გლეხკაცებმა მოჰკლეს, რადგან სიმინდს უმტვრევდა.

ერთ მშვენიერ დილას, ჩვენმა დათუნიებმა რომ გამოიღვიძეს, თვალები უკვე ახელოდათ. გარშემო მწვანე ხეები დაინახეს და გვერდით დიდი დათვი. სიხარულისგან დათუნებმა ხტუნვა დაიწყეს და ისე მაღლა დაიღრიალეს, რომ დედა გააღვიძეს. წამოდგა დათვი, შვილების თვალების ახილვამ ძალიან გაახარა, თათი გადაუსვა, გალოკა და საჭმლის საშოვნელად წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის წასვლის შემდეგ დათუნებმა თამაშობა გამართეს: ხტოდნენ, კოტრიალობდნენ, ჭიდაობდნენ, მანამ დედა დაბრუნდებოდა.



რამდენიმე დღე გავიდა. დათუნები უფრო წამოიზარდნენ და საშინელ გაუმაძღრობას იჩენდნენ.

— გამიგონეთ, ჩემო შვილებო, — უთხრა დედამ, — დღეიდგან ძუძუს აღარ მოგაწოვებთ, მაგრამ ნუ იდარდებთ, — სხვა საჭმელი საკმარი გექნებათ. წავიდეთ, მე გასწავლით საჭმლის შოვნას. ამ სიტყვებით დედა წინ გაუძღვა, შვილებიც უკან მიჰყვნენ.

მართლა და მრავალი საჭმელი იშოვეს. იჭერდნენ ბუზანკლებს, მიწიდგან ჭიანჭველებს სთხრიდნენ, ჩიტების კვერცხებს სწუწნიდნენ, მინდვრის თაგვებს სჭამდნენ და ხეებზედ ნორჩ ყლორტებს ღრღნიდნენ. ბოლოს დათვი ვაშლის ხეზედ ავიდა და ბერტყვა დაუწყო; ვაშლი სეტყვასავით წამოვიდა. დათუნიებს ხან თავში ხვდებოდა, ხან ზურგში, მაგრამ ისინი აინუნშიც არ იგდებდნენ, რადგან სქელი ტყავი იფარავდა ტკივილისგან. ვაშლის ჭამა რომ გაათავეს, დედამ ახლა ხის ფუღუროსთან მიიყვანა, სადაც ფუტკარი ბუდობდა. აქ თაფლით ჩაიტკბანურეს პირი; ისე მოეწონათ თაფლი დათუნებს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ უნდოდათ გაეთავებინათ, მაგრამ ფუტკარი დაეხვიათ და საშინლად ჰკბენდა ცხვირში და თვალებში; ბევრი იფურთხეს, იბუზღუნეს ჩვენმა დათუნებმა, ბოლოს, რომ ვეღარა გააწყეს რა, გაიქცნენ.

— თაფლი ძალიან გემრიელია, ფუტკარი-კი საძაგელი, — ამბობდნენ დათვის ბელები.

ზაფხულიც გავიდა. ბელები წამოიზარდნენ და ისე წათამამდნენ, რომ თითონ შოულობდნენ საჭმელს; მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ხილეულობა ვეღარ აკმაყოფილებდა მათ მადას. ისე ჩააცივდნენ დედას ხორცის თხოვნით, რომ იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მათი სურვილი. გავიდა ჩვენი ბებერი დათვი მინდორში, დაინახა ნახირს ჩამორჩენილი ძროხა, წაავლო კისერში კბილები, ერთი ნაჭერი ძროხის ხორცისა თითონ მიირთვა, დანარჩენი მიწაში ჩაფლა, ზედ ხის ტოტები და ფოთლები წააყარა.

მარტო მეორე დილით მიიყვანა იქ თავისი შვილები და გაიმართა ნადიმი.

შემოდგომაც მოახლოვდა, ცივი ქარი დაბურულ ტყეშიც შეიპარა. ხეებმა კვნესა დაიწყეს, ფოთლები ჰაერში უღონოდ ტრიალებდნენ და მერმე მიწაზედ ცვიოდნენ, გატიტვლდა ტყე და მარტო მწვანე ფიჭვი გამოიცქირებოდა ამაყად. მოსაწყენი იყო ამ დროს ტყე

— აბა, ეხლა-კი გვეყოფა ამოდენი თარეში, — უთხრა დათვმა შვილებს, — დროა, ჩვენც დავისვენოთ. ამ სიტყვებით შვილები ძველ სოროსაკენ წაიყვანა.

— ღრმად ჩაძვერით, მეც გვერდით მოგიწვებით! დათუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნებს კარგა ხანია როგორღაც სულ ძილი ერევოდათ, ამიტომ სოროში შესვლის უმალვე ტკბილად დაეძინათ.

აცივდა. მალე თოვლიც მოვიდა, ყინვა დაიჭირა და ჩვენ-მა დათვის ოჯახობამ-კი მთელი ზამთარი ტკბილ ძილში გაატარა.

ტასია



# ვისი ბრალია?



ულ ხუმრობასა და ცუღლუტობაში იყო გიგლა.

ერთხელ მამამ თხუთმეტი მანეთი მისცა და უბრძანა,—ჩემს მაგივრად მოკითხვა მისწერე მამიდაშენს და ეს ფული გაუგზავნეო.

გიგლამ ოქროები იქვე მაგიდაზედ დააწყო და საწერ-კალამი აიღო. ამ დროს იმისი უნცროსი და ქეთო შევიდა ოთახში.

— ეს რა არის, გიგლა?

— ოქრო.

— რა ლამაზია. ვინ მოგცა?

— ვის უნდა მოეცა? დავკრიფე და ამოვიტანე.

— სად დაკრიფე?

— აღუ, ნეკზედ არ მიკბინო! მაგოდენა ქალი ხარ და არ იცი, რომ ოქრო ხეს ასხია?

— რა ხესა?

— ოქროს ხეს! აბა, მამასა ჰკითხე. აი, ამ ოქროებს ხედავ? აიღებ და დასთეს; ცოტა ხანს უკან პატარა ხე ამოვა, გაიზრდება და იმდენს დაისხამს, იმდენს, რომ ვერც-კი ჩამოლევ.

ისე უთხრა, წარბი არ შეუხრია, და ისევ წერას შეუდგა.

ქეთომ ხელი წაავლო ოქროებს, ჩაირბინა ბაღში, ახლად დაბარული მიწა გაჩიჩქნა, ჩაფლა შიგ ფული და ზედ მიწა მიაყარა.

გაათავა გიგლამ წერა... სადღაა ფული?! ხან აქეთ ეცა, ხან იქით...

— ქეთო! შენ ხომ არ იცი, ფული რა იქნა?

— რა ფული?

— აქ რომ ოქროები ეწყო.

— დავთესე. დიდი, დიდი ხე ამოვა და იმდენს მოისხამს, იმდენს...

— სად დათესე, გოგო?!

— აიქ, ბაღში.

ჩავარდა გიგლა ბაღში, ქეთოც თან ჩაიყვანა. ბევრი ეძება, მაგრამ ვეღარა იპოვნა-რა: ქეთოს უკვე დავიწყებოდა, — სად დარგა ოქროს თესლი.

გაჯავრებული გიგლა ქეთოს მივარდა, მაგრამ მამამ შეაყენა. — შენ გააბრიყვე უსუსური ბავშვი და შენვე უჯავრდები, რად გაბრიყვდიო? დასასჯელი შენა ხარ, რომ უცოდინარს ატყუებ და პურის წილ ქვას აწვდი... რა ვუყო ახლა მამიდაშენს? ფული ძალიან უჭირდა და მე-კი მაგის მეტი არა მქონდა.

ი. მ.—ანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაათავა გიგლამ წერა... სადღაა ფული?! ხან აქეთ ეცა, ხან იქით...

— ქეთო! შენ ხომ არ იცი, ფული რა იქნა?

— რა ფული?

— აქ რომ ოქროები ეწყო.

— დავთესე. დიდი, დიდი ხე ამოვა და იმდენს მოისხამს, იმდენს...

— სად დათესე, გოგო?!

— აიქ, ბაღში.

ჩავარდა გიგლა ბაღში, ქეთოც თან ჩაიყვანა. ბევრი ეძება, მაგრამ ვეღარა იპოვნა-რა: ქეთოს უკვე დავიწყებოდა, — სად დაერგა ოქროს თესლი.

გაჯავრებული გიგლა ქეთოს მივარდა, მაგრამ მამამ შეაყენა. — შენ გააბრიყვე უსუსური ბავშვი და შენვე უჯავრდები, რად გაბრიყვდიო? დასასჯელი შენა ხარ, რომ უცოდინარს ა[illegible]ებ და ჭურის წილ ქვას აწვდი... რა ვუყო ახლა მამიდაშენს? ფული ძალიან უჭირდა და მეკი მაგის მეტი არა ჰქონდა.

ი. მ.—ანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი მარჯანი

(ვაგნერიდგან)

აქ მსურს გიამბოთ ერთი პატარა ცხოველის ისტორია, რომელიც ზღვის ძირზე მარჯანს აკეთებს. სიდიდით ის ქინძისთავის თავს არ აღემატება. ამ ცხოველს სახელად სიპინი ჰქვია. პაწაწკინა ჭიის მსგავსად გამოძვრება იგი თავის კვერცხიდგან, შემდეგ რამოდენიმე დღე ზღვაში დაცურავს და ბოლოს ძირს, ქვაზე ან კლდეზე ეშვება. აქ სიპინი თავის ბოლოთი ისე მაგრად ეკვრება ქვას, რომ გეგონება, მასთან შეხორცებულაო. ტანზედ პატარა ნახვრეტი უკეთდება—ეს პირია. პირს ირგვლივ რვა ისარი უჩნდება, რომელიც ხელის მაგიერობას უწევს. ამ ნაირად სიპინი ნაზ წითელ ყვავილს ემსგავსება, რომელსაც რვა ფოთოლი გამოუღია. იგი სვამს მლაშე წყალს, ჰყლაპავს პაწაწინა ზღვის ცხოველებს, რომელნიც მასზე უფრო მომცრონი არიან, და იმოსება თავისგანვე გამოღებულ კირით. სწორედ ამ კირიდგან ჩნდება ის მშვენიერი ნივთიერება, რომელსაც ჩვენ მარჯანს ვეძახით. მისგანვე აღმოცენდებიან კუკურებივით ახალგაზრდა სიპინები. ყოველ მათგანს პირი და რვა ისარი აქვს. ახალგაჩენილთ არ შეუძლიანთ თავისუფლად ზღვაში სიარული და თავის სასიამოვნო საჭმელის ამორჩევა, და იძულებულნი არიან ელოდონ, სანამ ზღვის ტალღა თითონ მიუტანს საზრდოს: მაშინ-კი თავიანთი ისრებით იჭერენ საჭმელს და ჰყლაპავენ. მარჯანის ყველა სიპინთა შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის მჭიდრო დამოკიდებულება არის: ერთიდგან მეორემდის ვიწრო მილებია გაყვანილი. თუ ერთი მათგანი რასმე შესჭამს, უთუოდ მეორესაც შეხვდება და შეერგება; ერთი თუ ბლომად სჭამს, არც სხვას აკლია საზრდო. ყველანი გამოიყოფენ მარჯნის ნივთიერებას და ახალგაზრდა, მომავალი ხიპინებისთვის ახალ კოკრებს იკეთებენ. ამ გვარად, საერთო ძალით, ასეთ პატარა ცხოველებისაგან ჩნდება მშვენიერი მარჯანი. მას მხიარული წითელი ფერი და ტოტებიანი მცენარის სახე აქვს, თითქო ტოტებზე ამოსული ყვავილებიაო. როდესაც ეს პაწაწინა ცხოველები იხოცებიან და წყალში ილექებიან, მათ შემდეგ პატარა მარჯნის ტოტი რჩება როგორც სახსოვარი პატარა ოჯახის ძმური ერთობისა.

მეთევზე რკინის რგოლებიან და მძიმე ჩარჩოიან ბადეს გადაისვრის ზღვაში და მირიდგან მარჯანს ჰგლეჯავს. ნაპირზე გამოაქვს, სწმენდავს და ქალაქში მიაქვს გასასყიდად. მარჯანისას ლამაზ საყურეებს, კრიალოსნებს და სხვა და სხვა სამკაულებს აკეთებენ.

დ. ყიფიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა




## ინდოური და მამლაყინწა



მამლაყინწა ნეხვის გროვაზედ იდგა და თავის მძლავრი კლანჭებით თავმოწონებით ჭქქქდა ნაგავს. იქვე ახლოს ინდოური დაყიალებდა; ფრთები გაშალა, შეხტა და მამლაყინწას წაატრინდა. მამლაყინწამ მსწრაფლ გაშალა ფრთები და იქით გადაფრინდა.

— როგორა ბედავ მაგას, შე რეგვენო, შენა! შეუტია მამლაყინწამ.

— ჭა—ჭა—ჭა! გეხუმრები, შე სულელო შენა! რას გაცეცხლდი! გულიანად გადიხარხარა ინდოურმა და ფრთები მირს დაუშვა.

— როგორ თუ მეხუმრები, შე ბრიყვო, შენა! წადი და შენს ტოლს და ამხანაგს გაეხუმრე აგრე ბრიყვულად. იქნება არ იცი, ვინა ვარ მე?—თვალები გადმოუბრიალა მამლაყინწამ და ყინწი წაიგრძელა საბრძოლველად.

— ეე... რა ძალიან მოგაქვს თავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხმა კმინდე, შე თავცარიელო, შენა!—გააწყვეტინა მამლაყინწამ.— შენ ვერ მიცნობ, როგორც გეტყობა!

— რა ყოფა გაქვს, მამლაყინწ, რა იყო, რა მოგელანდა? ვინა ბრძანდები, რომ ვეღარ გაგვეხუმრო? უთხრა ამაყად ინდოურმა და ფრთები დაიქნია.

— ჯერ ერთი მამალი ვარ...—უთხრა მამლაყინწამ და...

— მერმე? მერმე?

— მერმე ისა, რომ გალობა ვიცი. დილით ბულბულზედ ადრე მე ვიღვიძებ და ჩემი ტკბილი გალობით სმენას ვუტკბობ ბატონს. ბატონის მოსამსახურეებსაც ადრე ვაღვიძებ, რომ ბატონი არ გაუწყრეთ; შენ-კი იმდენად გამიკადნიერდი, რომ შენი ჭუჭყიანი ფეხი ჩემს პატიოსანს ტანს შეახე?!. დიდი ღვაწლი მიმიძღვის მე ყველას წინაშე, აგრე-კი ნუ მიუჯრებ შენა!—უთხრა მამლაყინწამ ინდოურს, ცალი ფეხი განზედ გადგა, ბოლო დედამიწას დააბჯინა, ფრთები ცოტა განზედ გაიწია და ყინწი წაიგრძელა. მზად იყო შებრძოლებოდა ინდოურს, რომელიც არა შორდებოდა და ამაყად უგებდა პასუხს.

— ჰკა—ჰკა—ჰკა! რა სულელი ყოფილხარ, შე თავ გასახეთქო! კიდევ გადიხარხარა ინდოურმა.

— ხმა კმინდე მეთქი, შენ არ გესმის?

— რა ძალიან თავი მოგაქვს, მამლაყინწ? შენც მსხვერპლი ხარ იმ ბატონის და მოსამსახურეებისა, რომლებსაც შენი გალობით სმენას უტკბობ და მეც. შენც ისინი დაგკლავენ, შეგჭამენ და მეც.—უთხრა ინდოურმა. შემდეგ გამოტრიალდა, შეხტა, შეიქნია ფრთები და მოშორდა მამლაყინ-

წას. მამლაყინწამაც გაისწორა ფრთები, შედგა ნეხვის გროვაზედ, კისერი მოიღერა, ამაყად გაჰხედა ინდოურს, შემდეგ ყრუდ ჩაირუყრუყა და ისევ ბეჯითად გაუსვა კლანჭება ნეხვის გროვას.

**ი. მჭედლიშვილი.**



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ერთი ძაღლის თავგადასავალი

(თარგმანი)

რვა წლის ბავშვი დედამ მეზობლისას მიგზავნა; დაბრუნებისას ბავშვს ჭუჭყიანი, კოჭლი,—ავადმყოფი ძაღლი დაედევნა. სხვა რომ ყოფილიყო, ძაღლს როგორმე მოიშორებდა: ქვას მიარტყამდა, ან სცემდა, რაკი აღარ ეშვებოდა. ჩარლი-კი ყოვლად კეთილი იყო, შეებრალა უბინაო პირუტყვი და შინ მიიყვანა. სახლში მოსვლისათანავე დედასა სთხოვა, საბრალო ძაღლი თავიანთთან დაეტოვებინა; ძაღლი ყველას ისე შესცქეროდა, თითქოს გრძნობდა, რომ იმის ბედ-იღბალი უნდა გადაწყვეტილიყო. ძაღლი დაბანავეს სამრეცხაო ოთახში ლაზათიანად გაამძღეს, ახალი თივა დაუგეს—საწოლად, წყალიც იქვე დაუდგეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ძაღლი მოღონიერდა, გასუფთავდა, ხუჭუჭი ბეწვი თეთრად უბზინავდა, რამდენადაც-კი ძაღლის გონივრობას შესწევს, ყოველსავე ხერხს ხმარობდა, რომ თავის პატარა მეგობრისათვის სიყვარული და ერთგულება დაემტკიცებინა. აღარაფრისა ეშინოდა, მხიარულად ხტოდა და იყეფებოდა, ცდილობდა ბავშვების ხელები და სახეელოკნა. ბავშვებმა ძალიან შეიყვარეს და სახელად ელვი დაარქვეს.

ყოველ დღე ბავშვებს სკოლაში აცილებდა; თუ ვინმე ქუჩის ბიჭთაგანი გაბედავდა და იმის მეგობრებს შეეხებოდა, ზედ შეახტებოდა და მზად იყო დაეფლითნა. უკან დაბრუნდებოდა თუ არა, ეზოში იჯდა, ყარაულობდა ქათმებს, ბატებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ინდოურებს; თვალ-ყურს ადევნებდა, ფრინველები არ გაფანტულიყვნენ. ფრინველის მოპარვას ხომ ვინ გაბედავდა: ელფის შიშით ქუჩის ბიჭები ჩვეულებრივ კენჭებსაც-კი ვეღარ ესროდნენ წიწილებს.

სამი საათი როგორც შესრულდებოდა, დიასახლისი ეტყოდა: „ელფ, დროა წახვიდე სკოლაში ბავშვების მოსაყვანად“.

ჯერ დიდხანს ვერ მიხვდა ძაღლი რას უბრძანებდნენ, მაგრამ რაკი შეიგნო, დედა სიტყვის თქმას ვერც-კი მოასწრობდა, რომ ის სასწრაფოდ სკოლისაკენ გარბოდა.

ელფიმ პირითაც შეისწავლა წაღებ-წამოღება. ავდარში პირით ქოლგა მიჰქონდა ბავშვებთან. გზაში რამდენჯერმე გამოუდგნენ ბიჭები და ქოლგის წართმევა უნდოდათ, მაგრამ ძაღლი ისე მირბოდა, რომ ვერავინ დაეწევოდა და ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა სახლში. ელფი მთელ თავის სიცოცხლეში თავგანწირული და ერთგული მეგობარი იყო ბავშვებისა.

**მ. დემურია**





## პ რ ე ს პ ა პ ი ე

მოგეხსენებათ, ამ ბოლოს დროს ყველგან ძალიან გახშირებულია მოწაფეთა მოგზაურობა (ექსკურსიები) ბუნების და სხვა-და-სხვა შესანიშნავ ადგილების გასაცნობად. ესეც რომ არ იყოს, ბევრი მოწაფე ზაფხულობით უთუოდ სოფელში მიდის სააგარაკოდ. მინდორსა და ტყეში-კი ბევრი რამეა საყურადღებო; თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზედ შეხვდებით მოყვანილობითა და ფერით მშვენიერს, ლამაზს ქვებსა და კენჭებს, რომლებიც გადასაყრელად დასანანია.



სწორედ ამ ქვებიდგანა და კენჭებიდგან შეიძლება გაკეთდეს მეტად ლამაზი და შნოიანი პრესპაპიე (ქაღალდის სატკეპნი), რომელიც სანახავადაც სასიამოვნოა და მოწაფისათვისაც გამოსადეგი. საჭიროა მხოლოდ ქვები და კენჭები მიაწებოთ ამისთვის განგებ მომზადებულს ლითონისა ან ხის ფიცარზედ, როგორც ამას სურათზედ ჰხედავთ.

ა. ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შ ა რ ა დ ა

ერთი რამ უცხო ფრინველი
აქა და ყოველს კიდესა,
ბოძალი აქვს და ვერ ისვრის,
ზურგს უკან აიკიდებსა;
მიწას სთხრის, მაღლა აიტანს,
შვილისთვის დაიუნჯებსა,
მისი ხმა ნათლის მცემელსა
აქებს და განადიდებსა.

---

## გონიერი მაიმუნი

ერთმა მონადირემ ხეზედ მჯდომ მაიმუნს თოფი ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრა; მაიმუნი სწრაფლ ჩამოხტა დაბალ ტოტზედ, თითქოს უნდოდა სცემოდა მონადირეს ჯავრის ამოსაყრელად, მოემზადა კიდეც, მაგრამ უცბად შესდგა. წყნარად მიიდო ხელი იარაზედ და შემდეგ გასისხლიანებული გაუწოდა მონადირეს. ამ ნაირმა საქციელმა ძლიერ იმოქმედა მონადირეზე და ამ დღიდან მან შესწყვიტა მათზედ ნადირობა. დაჭრილი მაიმუნი მალე მოკვდა. მკვდარი ვეღარ იპოვეს იმ ადგილას, რადგან სხვა მაიმუნებმა მოირბინეს და წაიღეს.

**ეპიტაშვილი**

---

## სახუმარო გამოცანა

— 1) გამოიცანით, რა არის?—ბრმამ კურდღელი დაინახა, მუნჯმა დაჰყვირა: „არიქათ, დაიჭირეთო“!—კუტი გამოუდგა, უხელომ დაიჭირა და ცოცხალი შინ მოიყვანა.

— 2) რომელი ცეცხლია, რომ არასფერს არა სწვავს?

— 3) ვინა ლაპარაკობს ყველა ენებზედ?

**ნ. წ—შვილი**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რებუსი




მეხუთე №-ში მოთავსებული შარადის ახსნა: ნესვი. გამოცანა: ვაზი. საკვირველი ხელსახოცი: ხასვი. რებუსი: 1) გამოცანა, 2) მუცელი.




რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომცემელი თ. პ. ი. თუმანიშვილი.